№ 258 ნოემბრის 30, პარასკევი. 1866—1884 ნოემბრის 30, პარასკევი. № 258

თბილისი

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ქართული თეატრი

დღეს, ნოემბრის 30-ს

ქართულის დრამატიული დასის არტისტკების და არტისტების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

ბიძიასთან გამოხუმრება

ხუმრობა ვოდევილი 1 მოქმ.

II

პირველი მოქმედება კომედიიდამ:

ხანუმა

III

მეორე მოქმედება კომედიიდამ:

ჟოზეფ, პარიჟელი ბიჭი

IV

მესამე მოქმედება დრამიდამ:

არსენა

V

დივერტისმენტი

ბ. მამიკონიანი—თარს დაუკრავს, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—იმღერებს ქართულ ხმებს, ხალხურ სიმღერებს—ასრულებს ხორო, ქ. ანდრონიკოვისა და ს. ცხაკაია—ითამაშებენ ლეკურს, ა. მოხევე ითამაშებს—ჩაჩნურს. ქალაქელი კინტოების ლეკურს ასრულებენ: დ. აწყურელი, ნ. ლიახველი, დ. დავითაშვილი, ა. ჩუბინიძე და სხვ.

ადგილების ფასი მომატებულია.

დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე.

ბილეთები ისყიდება რიშარის მაღაზიაში, ოლქის სასამართ. ქვეშ, და წარმოდგენის დღეს თეატრის კასსაში.

THÉATRE GÉORGIEN

(ci-devant Arzrouni)

Vendredi, 30 novembre,

Représentation extraordinaire

donnée par tous les artistes de la

TROUPE GÉORGIENNE.

On peut se procurer des billets pour cette représentation chez M. Richard, Golovinsky prospect.

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, ნოემბრის 30-ს.

ამ ჟამად გერმანიის პარლამენტი წარმოადგენს იმისთანა ასპარეზს, რომელზედაც ერთი კაცი, ძლიერის ჭკუითა და მოხერხებით ბუნებისაგან დაჯილდოებული ებრძვის რამდენიმე ერთად თავ-მოყრილს დასს. ეს დასნი ჩვეულებრივ ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედებენ, მაგრამ როდესაც ამ ძლიერ მოპირდაპირესთან ბრძოლაა საჭირო, მაშინ ივიწყებენ ყოველსავე ცილობასა და შურს და შეერთებულის ძალით იმის ფეხ-ქვეშ ნიადაგის გამოცლასა ცდილობენ.

მართალია, ბისმარკს ასიოდე მომხრე ჰყავს პარლამენტში, მაგრამ ესენი არად ჩაითვლებიან თვის უნიჭობის გამო იმისთანა მებრძოლებთან, როგორიც არის კლერიკალების მოთავე ვინდჰორსტი, როგორნიც არიან მოთავენი პროგრესისტებისა, ანუ ეხლანდელ სახელ-წოდებისამებრ, თავისუფალ მოაზრეთა, რიხტერი და ვირხოვი, ანუ გაშმაგებული სოციალისტები, რომელთა რიცხვმა უკანასკნელ ამორჩევების დროს ერთი ორად იმატა. ესენი ყველანი ივიწყებენ ხოლმე ერთმანეთში უთანხმოებას, როდესაც კი ბისმარკზედ გაილაშქრებენ და აი, ამ კოალიციამ ზედი-ზედ დაამტკიცა იმისთანა კანონები, რომელნიც ბისმარკს მოხუცების დროს სიამით არ გაატარებინებენ.

ამ კვირის განმავლობაში პარლამენტმა ორჯერ აწყენინა ამ ძლიერ კაცს და აწყენინა ისე, რომ გამოჩენილმა კანცლერმა დაივიწყა თავისი ტაქტი და თავდაჭერილობა და ისეთის სიტყვით მიმართა პარლამენტს, რომელსაც, ინგლისურის გაზეთის «ტაიმსის» აზრით, არც ერთი პარლამენტი არ მოითმენდა. ბისმარკი ლაპარაკობდა პარლამენტში, მაგრამ ყოველ იმის სიტყვაში აშკარად გამოიხატებოდა სიძულვარე ამავე პარლამენტისადმი და მუქარა ისე მოქ ევისა, როგორც სახელ-მწიფოს ინტერესი მოითხოვს, ესე იგი, როგორც თვით ბისმარკი მოიწადინებს. მან ამ სიბერის დროს აიხადა პირბადე, თუ კი როდისმე ჩამოფარებული ჰქონდა, და აუხსნა პარლამენტს, რას ნიშნავს პარლამენტი, ან ის უმეტესობა, რომელიც კანონებსა სდებს. იმის სიტყვებს რომ კაცმა ყური დაუგდოს, ეს უმეტესობა არაფერს არა ნიშნავს, როდესაც კი იგი ბისმარკს წინააღმდეგობას უწევს. «მე არ მივცემ ნებას არცერთს უმეტესობას იბატონოს ჩემზე, თუნდ ეს უმეტესობა ევროპის უმეტესობა იყოს!». წამოიძახა თავადმა ბისმარკმა და აშკარად ომი გამოუცხადა საპარლამენტო წეს-წყობილებას.

დიდად საგულისხმიეროა, თუ როგორ გათავდება ეს ომი, მაგრამ ჯერ ჯერობით გამარჯვებული პარლამენტის უმეტესობა გამოდის. მართალია, სიტყვით ბისმარკი სჯობნის, მართალია ამ ბოლოს დროს უხვი მჭევრმეტყველობა გამოიჩინა და თითქმის დღე ისე არ გავა, რომ პირიდამ ცეცხლები არ დაჰყაროს და კვეხნა-მუდარით აშუშხუნებული სიტყვები არ წარმოსთქვას, მაგრამ ამ მჭევრ-მეტყველობასაც ვერა უქნია-რა და საქმით გამარჯვება მის მოწინააღმდეგეთ დარჩენიათ.

ორი პროექტი, რომელნიც ამ დღეებში დაუმტკიცებია პარლამენტს არამც თუ ბისმარკის ნება-დაურთველად, პირდაპირ მის წინააღმდეგაც, შემდეგნი არიან: პირველი, ყველა დეპუტატებს რეიხსტაგისას ჯამაგირები დაენიშნებათ და არავის არა აქვს უფლება ამ ჯამაგირებზედ უარი სთქვას და

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 30-ს

## უცხოელის აზრი «ვეფხვის-ტყაოსანზე»

### პოემის გადათარგმნის გამო ფრანცუზულს ენაზე.

გადათარგმნა თანამედროვე ევროპიულს ენაზე იმ გვარის პოემისა, რომელიც ეკუთვნის ძველს აზიურს ლიტერატურას, მძიმესა და ძნელად გასაბედს საქმეს შეადგენს და ამიტომ ღირსია საზოგადოების სრულის ყურადღებისა. ამ გვარი ღვაწლი მოასწავებს, რომ ჯეროვანს პატივსა სცემენ იმ ლიტერატურულ ქმნილებათა, რომელნიც დიდებასა და სიამაყეს შეადგენენ რომელიმე ხალხისას და ამავე დროს სასარგებლონიც არიან თვით საკაცობრიო მეცნიერებისათვისაც.

ჩვენს დროში, როცა საკაცობრიო ცოდნის ყოველი შტოა ვრცელებს მოედანს თავის გამოკვლევათათვის, ლიტერატურის შესწავლაც თავს ანებებს ვიწროდ შემოფარგლულს წრეს, რომელშიაც იგი იყო ჩავარდნილი რუტინიორებისა და პედანტების წყალობით, რომელთა ღრმა ნაკითხობა და ერუდიცია ის იყო, რომ მხოლოდ საშობლო ქვეყნის კლასიკები, ბერძენთა და რომაელთა მწერლები ჰქონდა შესწავლილი. დღეს ისინი, ვინც ლიტერატურის შესწავლას მისდევენ, ცდილობენ თავიანთ შედარებითისა და კრიტიკულის გამოკვლევების საგნად გაიხადონ ყოველგვარი ნაჭირნახულევი კაცის გონებისა ყველა ქვეყნებსა და ყველა საუკუნოებში. დაბადება, ტალმუდი, ინდოეთის ვედები, ლიტერატურანი — რომაელებისა, გერმანელებისა, სლავიანებისა და სკანდინაველებისა: ყოველნი სახსოვარნი წერილობითის და ზეპირის ლიტერატურისა ერთგვარად საყურადღებონი შექმნენ კეთილ-სვინიდისიერის გამომკვლევლისათვის.

უეჭველია, მაშასადამე, რომ ერუდიციას დიდ სამსახურს უწევენ, როცა მას აძლევენ შემთხვევას ჩაიხედოს ისეთს ლიტერატურაში, რომლის არსებობაც კი ძალიან ნაკლებ იციოდენ და რომელიც, ერის აზრით, მისი ეროვნულის გენიის გამომხატველია.

ამ მხრით უნდა უცქიროს საგანს მკითხველმა როდესაც აფასებს „ვეფხვის-ტყაოსნის“ თარგმანს ფრანცუზულს ენაზედ ბ-ნ მეუნარგიასაგან. ჯერ ვიდრე მკითხველი წარმოსთქვამდეს თავის განაჩენს რუსთაველის პოემის შინაგანს ღირსებაზე, მან უნდა მოისაზროს, როგორ უყურებს თვით ერი ამ პოემას, დიდია ის პატივისცემა, რომლითაც მას ეკიდება, რა გვარია ის გავლენა, რომელიც უწარმოებია ერზე თავის დროს, იმიტომ რომ, როცა ამ გვარად ყოველის მხრით შეისწავლის კაცი იმ ვითარებასა, რა ვითარებაშიაც გაჩნდა პოემა, მხოლოდ მაშინ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რა ადგილი უნდა ეჭიროს მას სხვა პოეტურ ქმნილებათა შორის. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ — როგორც მოგვითხრობს მთარგმნელის წინა სიტყვაობა — რომ შოთა რუსთაველი სალოცავადა ჰყავთ დასვენებული იმათ, ვინც იმის ენაზე ლაპარაკობენ და ვინც დაეჩვიენ მის ლექსების მღერას; რომ პატივი და თაყვანის-ცემა, რომელსაც გრძნობს ერი პოემის ავტორის სახელის წარმოთქმის დროს, სრულიად ნაკლები არ არის იმ გაღმერთებაზე, როგორც აღმერთებენ თავიანთ უკვდავს პოეტებს სხვა ერნი; რომ იმის პოემაში გამოთქმულნი აზრნი დიდი ხანია ხალხის ენაში ტრიალობენ და ანდაზებად გადაიქცნენ; რომ სოფლებსა და ქალაქებში ლექსნი პოეტისა ყველგან იმეორებიან; რომ მოხუცებული დედაკაცები წარმოსთქვამენ მათ იმავე მოწიწებით, რა მოწიწებითაც ამბობენ ლოცვებს, და რომ, არ არის, იქნებ, სრულიად სა-

ეს წერილი, შედგენილი ფრანცუზულად ბარონის სუტნერისაგან, დაბეჭდილი იყო „კავკაზის“ მე-265 №-ში.

რედ.

მეორე, გაუქმდება ის კანონი, რომლის ძალითაც სასულიერო პირნი სახელმწიფოდამ განიდევნებოდნენ, თუ იმოქმედებდნენ წინააღმდეგ კანონისა. ერთი კანონიც და მეორეც ბისმარკს, უეჭველია, თვალში ჩხირად ჩაუჯდებოდა. პირველი კანონი ამომრჩევლებს მისცემს საშუალებას დეპუტატები მათის ღირსებისამებრ ამოირჩიონ შეუძლებელთა შორისაც და არა მარტო ისინი, რომელნიც განცხრომით ცხოვრებას შეჩვეულნი არიან და ყოველივე ცვლილება თავიანთთვის უბედურებად მიაჩნიათ. მეორე კანონი კი უარ-ყოფაა ბისმარკის ნაქები პოლიტიკისა, რომლის ძალითაც მას უნდოდა დამორჩილება კლერიკალებისა, ესე იგი იმ პარტიისა, რომელიც ამ ჟამად განკერძოებულს, უძლიერესს პარტიას შეადგენს მთელს პარლამენტში.

* * *

სამაგიეროდ გარეშე პოლიტიკაში, როგორც ყოველთვის, ბისმარკის საქმე კარგად მიდის. იგი ცდილობს თითქმის გაუნაწევროს გავლენა აფრიკაზედ ინგლისს, იღებს თავის მფარველობის ქვეშ ზანზიბარის სამეფოს აფრიკის აღმოსავლეთის ნაპირზედ და ჩუმ-ჩუმად ეხმარება საომარ იარაღითა და სურსათით ტრანსვაალელ ბოერებს აფრიკის სამხრეთით ინგლისისადმი წინააღმდეგობის გასაწევად. ამასთანავე შეაქვს პროექტი პარლამენტში იმის შესახებ, რომ გერმანიამ საკუთრად გაიმართოს ფოსტის ცეცხლის გემები ოკეანს იქით, ავსტრალიისკენ სავალად, რათა ამ გზითაც გერმანიამ შესაფერი გავლენა მოიპოვოს. უკანასკნელს პროექტს ამ ჟამად სინჯვენ პარლამენტში და მოსალოდნელია, რომ ამ სესიაშიაც იგი უარყოფილ იქმნას ფულის უქონლობის გამო, როგორც უარ-ყოფილი ქმნა წარსულ სესიაში, თუმცა ბისმარკი მას დიდს მნიშვნელობას აწერს დასრულს თავის ძალ-ღონეს ახმარებს ცდას მის დამტკიცებისათვის.

* * *

წარსულ მიმოხილვაში ჩვენა ვთქვით, რომ შეიძლება საფრანგეთის პალატისაგან სენატორების არჩევნის წესის მიღებამ სამინისტროს წინააღმდეგ ამ სამინისტროს გადადგომა გამოიწვიოსო. ჯერ-ჯერობით საქმე აქამდის არ მისულა, თუმცა ფერის მუქარა კი გამოუცხადებია სამსახურიდამ გამოსვლისა, თუ პალატა არ უარ-ჰყოფს თავის გადაწყვეტილებას. ტელეგრაფმა მოგვიტანა ამბავი, რომ პალატას შეშინებია ამ მუქარისა, უარ-უყვია საკუთარი განაჩენი და ეს პროექტი ისე მიუღია, როგორც შეუცვლია სენატს. ჯერ დაწვრილებით არ ვიცით, როგორია სენატის ცვლილება, მაგრამ ეს კი გვეთქმის, რომ ეტყობა ჯერ კიდევ პალატა ძვირად აფასებს ფერის, რომ თავის გარდაწყვეტილებას ორი დღის წინად მომხდარს, მესამე დღეს თვითვე უარ-ჰყოფს, ოღონდ თავის სასურველი მინისტრი მმართებლობას არ მოაშოროს. მაგრამ რაკი ასე მუქარაზედ მივარდნილა საქმე, ძნელად მოსალოდნელია, რომ პალატამ სხვა სამინისტროს არ დაუწყოს ძებნა, მით უფრო რომ ჩინეთში საქმეები ძალიან კარგად ვერ მიდიან. წესიერ ბრძოლაში თითქმის ყოველთვის საფრანგეთი სჯობნის, მაგრამ როგორც ჯარს, ისე ყველა ჩინეთში დასახლებულ ევროპიელებს მეტის-მეტად აწუხებთ ესეთი გამოურკვეველი მდგომარეობა, რადგან ჩინელები არავითარს მძვინვარებას არა ჰზიზღობენ და მათნი უფროსნი დაშლის მაგიერად, კიდევაც აქეზებენ. ისე გაზეთს არ აიღებთ ხელში, რომ არ ნაამბობი იყოს რომელიმე საზიზღარი მოქმედება ჩინელებისა ევროპიელების წინააღმდეგ.

აი, რა ამბავი მომხდარა, სხვათა შორის, ქალაქ ვენ-ჯეუში. ეს ქალაქი თურმე შუაგული ქალაქია ქრისტიან მისიონერებისა. მეტოდისტების ეკლესიის წინ შეყრილა ჯერ გროვა ჩინელებისა, განსაკუთრებით ბანგის — მწეველებისა. ჯერ უნდოდათ თურმე ლოცვა დაეშალათ ქრისტიანთათვის ხმაურობითა და ქვის სროლით. მაგრამ, ბოლოს ამხანაგების მოშველებით წაქეზებულიყვნენ და შეცვივნულიყვნენ ეკლესიაში მლოცველების ამოსახოცად. ამათ მოესწროთ მეორე კარებიდამ გაქცევა. მაშინ ჩინელები მოსდებოდნენ ყველა სალოცავებს, და ქრისტიანთა სახლებს, მაგრამ ევროპიელები ვერსად ეპოვათ, რადგან უკანასკნელნი გადამხდარიყვნენ ქალაქის ზღუდეზედ, გაქცეულიყვნენ ზღვის ნაპირისკენ, აეშვათ ჩინელების ნავები და მისულიყვნენ ახლო მდებარე კუნძულამდე, რომელზედაც თურმე ინგლისის კონსული დგას. ჩინელებს ვერ მიესწროთ მათთვის ნაპირზედ და რაკი ნავებიც არა ჰქონოდათ გამოსადგომად შემდეგის მხეცურის საშუალებით ამოეყარათ თავიანთ გულის ჯავრი. შეეკრათ ერთის ინგლისელის ძაღლები და ნელს ცეცხლზედ ცოცხლივ დაეწვათ.

ფრანცუზები ჰხედავენ რომ ამ გვარ ხალხთან ბრძოლა არაფრად სახალისოა, მაგრამ ეხლა უკან დაწევა გვიანღა არის და ნება-უნებურად საფრანგეთის პარლამენტი კრედიტს კრედიტზე უხსნის მთავრობას ამ დაუსრულებელი ბრძოლის გაგრძელებისათვის.

## შინაური ქრონიკა

— ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს ის ქართული წარმოდგენები, რომელნიც გამართულნი იყვნენ არქეოლოგიური კრების დროს და გამოჩენილი დრამატურგის ოსტროვსკის მისაგებებლად. ორნივ შეადგენდენ დღესასწაულს ჩვენის თეატრისათვის და არც ერთი მათგანი ჯერ მეხსიერებიდამ არ ამოგვშლია. ამ წარმოდგენების მზგავსს თბილისში არსებულ ფრანცუზების საქველმოქმედო კომიტეტისათვის დღესაც მართავს ჩვენი სათეატრო დასი. მართალია, დღეს მაშინდებურად მეცნიერებისა და დრამატურგიის მესვეურნი არ დაესწრობიან, მაგრამ სამაგიეროდ იქ იქმნებიან რამდენიმე უცხოელი ლიტერატორები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა და მისი ზნე-ჩვეულება შესასწავლ საგნად გაუხდიათ; იქ იქნება მთელი აქაური ფრანცუზების კოლონია; იქნებიან თითქმის ყველა წარმომადგენელნი ევროპის სხვა-და-სხვა ქვეყნებისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო და დახელოვნებული არტისტები, რომელნიც ან, თვით დასში ითვლებიან ან შემთხვევით ამ ჟამად თბილისში იმყოფებიან. სახელი საფაროვის ქალისა, გაბუნიასი, კ. ყიფიანისა, ვ. ალექსეევ — მესხიევისა, აწყურელისა იმედს გვაძლევს, რომ დღევანდელი წარმოდგენა ღირსეულად იქნება გამართული. პიესებიც იმ გვარებია არჩეული, რომ თითქმის ყველა საუკეთესო არტისტების ნიჭს შესაფერი ასპარეზი აქვს გადაშლილი და მათზედ იქნება დამოკიდებული, თუ რა აზრს შეადგენენ ჩვენი სტუმრები სასცენო ხელოვნების განვითარებაზედ საქართველოში.

— სუხუმიდამ შემდეგი ცნობა მივიღეთ. „საიმპერატორო არქეოლოგიურის საზოგადოების“ წევრს მამა არქიმანდრიტს ლეონიდს განუძრახავს აფხაზეთის ისტორიის შედგენა და ამ აზრით ბლომად აგროვებს ძველის მონასტრების და შესანიშნავი შენობების ფოტოგრაფიულს სურათებს. ეს ერთი თვეა, რაც ფოტოგრაფი დაიარება აფხაზეთის სოფლებში. მას დაჰყვება გამოცდილი და ამ ქვეყნის ვითარების მცოდნე ბერი მამა ინო-

---

ქართველობაში არც ერთი ქართველი, რომელსაც „ვეფხვის ტყაოსანი“ არ გაეგონოს და რომელმაც რამდენიმე ლექსი არ იცოდეს ზეპირად.

ყველა ესენი ისეთი ფაქტები არიან, რომელნიც ადგილს უთმობენ რუსთაველს იმ ათისა თუ თორმეტის პოეტის გვერდით, რომელთა სახელიც საუკუნოებთან ერთად იზრდება. კერძო აზრი კრიტიკოსისა — რაც უნდა დიდი იყოს იგი — პოემის ღირსებასა და ნაკლულევანებაზედ ვერ შეარყევს მის ნამდვილს მნიშვნელობას, რომლის მოწამენიც ისტორიული ფაქტები არიან. მიუდგომელსა და სამართლიანს დამფასებელს არ შეუძლიან განაცალკევოს ანუ მოაშოროს მხატვარს თავისი დიდება. ძეგლნი, რომელნიც მას აუგეს, გვირგვინნი, რომლითაც შეუმკეს მას თავი, უნდა შეადგენდენ, შთამომავლობის შეხედულობით, განუშორებელს კუთვნილებას პოეტის პიროვნებისას, იმიტომ რომ იგინი შეადგენენ ძლევისა და გამარჯვების ნიშნებს, რომელთაც კაცობრიობა მხოლოდ გენიოსებს ანიჭებს. ამის შემდეგ ყველა თავისუფალია და შეუძლიან თავისი კერძო აზრი იქონიოს იმ ურთიერთობაზე, რომელიც პოეტურს ქმნილებასა და მის გარშემო შემოხვეულს დიდებას შორისა ჰსუფევს და ან სხვებსავით აღტაცებული იყოს მისით, ან არ თანაუგრძნობდეს სხვების გატაცებას; ეს გატაცება — ყველასაგან იქმნება იგი გაზიარებული, თუ არა, თავის თავად უეჭველი ნიშანი და ავტორის გენიოსობის მომასწავებელი გარემოებაა. როგორიც უნდა იყოს ლიტერატურული ქმნილება, რაკი მან დაიმსახურა ისეთი სახელი, როგორც რუსთაველის პოემამ — იგი ღირსია მსწავლულთა ყურადღებისა, რომელნიც გარეშე ლიტერატურის ძიებასა და გამოკვლევაში კმაყოფილებას კი არ ეძებენ, კმაყოფილებას, ლიტერატურულის გულის-თქმით გამოწვეულს, არამედ მხოლოდ ერთის მეცნიერულის ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებას.

ეპიკური ქართული პოემა, დაწერილი მე-XII საუკუნეში, დიდის მეფის თამარის საჭურჭლეთ-უხუცესისაგან! ერუდიცია თრთოლას დაიწყობს სიხარულით... «როგორ!» — შეჰყვირებენ ბბ. მსწავლულნი, როცა ეს თარგმანი ჩაუვარდება მათ ხელში, — „როგორ“! ჩვენგან მოშორებულ ქვეყანაში, დროსა, აწ დიდის ხნით გამქრალს, არსებობდა ბრწყინვალე სამეფო კარი და უმდიდრესი ენა, არსებობდა აკადემია, რომელშიაც სწავლობდენ ყმაწვილნი კაცნი და რომლიდამაც უუნიჭიერესთ ჰგზავნიდენ ათინაში განათლების დასამთავრებლად, და მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელმაც, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ერთის სპარსულის თქმულებისაგან შექმნა 1500 ტაეპიანი პოემა, რომლის წყალობით იგი ღირსი შეიქმნა ქვეყნის უუდიდესის თაყვანის ცემისა, — ეს პოემა არსებობს და ჩვენ კი ეხლა პირველად გვესმის იმის არსებობა!

იქნება მკითხველს მართლა პირველად ესმის ბრწყინვალე ქართულის პოეზიის არსებობა, მაგრამ უნდა კი ვსთქვათ, რომ არას-გზით ეს გაგონება უკანასკნელი გაგონება არ იქნება. რაღაც განახლების ნიავმა დაჰბერა საქართველოს გონებრივს ცხოვრებას. მთელი ჯგუფი ახალ-გაზრდა მწერალთა, რომელთაგანაც უმეტესმა ნაწილმა თავისი განათლება ევროპაში მიიღო, აღზრდილია რუსულისა, ნემეცურისა, ფრანცუზულისა და ინგლისურის წიგნებით და, ფრთა-შესხმული თვით უუკეთილეს მისწრაფებათა მიერ, თავის საზრუნავ საგნად აღიარებს წინსვლას კაცობრიობის გონებისას, სთარგმნის თავის ენაზე უცხო ლიტერატურის თვით უუკეთესს ქმნილებათა, არდგენს თავის სცენაზე შექსპირსა და მოლიერსა, აფუძნებს დროგამოშვებით გამოცემათა, რომლებშიაც ხელოვნებისა და მეცნიერების საგნები განიხილებიან და შემუშავდებიან უახლეს აღმოჩენათა მიხედვითა და შესაბამად; ამით არა კმაყოფილდება ეს ჯგუფი და იმავე დროს ჰბეჭდავს ორიგინალურს ქმნილებათაც — კომედიებს,

კენტი .სიმონ ქანანელის მონასტრისა.''

== ამ ორი-სამი დღის წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ხონის საოსტატო სემინარიაში უწესოება მომხდარაო. დღეს შევიტყვეთ, რომ წესი ისევ ისე აღდგენილა ამ სასწავლებელში, გამორიცხული შეგირდები ისევ მიუღიათ მზრუნველს, რომელიც განაგებს ამ საქმის გამოსაძიებლად ყოფილა იქ და ამ სახით სასწავლებელს ჩვეულებრივი მსვლელობა კვლავ დაუწყვია.

== ჩვენ გვთხოვენ ქუთაისიდამ მივსცეთ ადგილი ჩვენს გაზეთში შემდეგს წერილს: ,,კათოლიკეთა სამრევლოში კიდევ არეულობა მოხდა. სინდიკებმა შეიტანეს დათხოვნის ქაღალდი; რაღაც უკმაყოფილება მოსვლიათ პატრთან. ამ კვირა-დღეს პატრმა გამოაცხადა ეკლესიაში ეს გარემოება და მოიწვია მრევლი კრებაზე ახალ ძმათა-უფროსების ასარჩევად. მაგრამ კრებაზე ერთი კაცი არ მოვიდა წამლადაც და კრება გადიდვა. ამან დაჰბადა დიდი უკმაყოფილება. ამას გარდა პატრმა თავისით სკოლის კომიტეტის წევრად დანიშნა პოლიშელი, რომელმაც არც ქართული ენა იცის და რომელსაც არც ჩვენი მოთხოვნილებანი ესმის. ეს კაცი მსახურობს ერთს ქუთაისის ადმინისტრაციულ დაწესებულებაში; მწერალი იყო და ეხლა, ვგონებ, ,,სტოლნაჩალნიკის'' თანაშემწეა. განა ჩვენში ცოტა იყვნენ ნასწავლნი ახალგაზდანი,...არ ვიცით—როდის მოეღება ბოლო ამ არეულ-დარეულობას კათოლიკეთა სამრევლოში. სასურველია, რომ მღვდელ-მთავარმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას''.

== ძნელად დასაჯერებელს ამბავს სწერენ გაზეთს ,,Იურიდ. Ობოზრენიეს'' დ. ახალ-სენაკიდამ იმის შესახებ, რომ იქ აგერ 20 დღეა, რაც მომრიგებელი სასამართლო დაკეტილიაო. ხალხი განცვიფრებულია: ნუ თუ ისეთი ბედი მხოლოდ ახალ-სენაკის მომრიგებელს სასამართლოსა ხვდაო''. ამას გარდა გამომძიებელს არ ამწესებენ სენაკში, და თუმცა მომრიგებელი მოსამართლე გვყავს, მაგრამ საქმეებს არ არჩევს თავის ცოლის ავად-მყოფობის გამოო. მომჩივარნი მოდიან, უცდიან, უცდიან, და ცდით რომ იღალებიან, ისევ უკან ბრუნდებიანო.,.

---

## ორიოდე სიტყვა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის შესახებ.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკის საქმე დღეიდგან დაარსებისა მიდის უთავ-ბოლოდ და უკანასკნელად, თითქმის ორი წელი გადის, მოსპობილი აქვს სესხის გაცემა. საზოგადოების ერთი ნაწილი ბანკის ამ გვარ მდგომარეობას აქამდის აბრალებდა ბ. ღოღობერიძეს და ამ უკანასკნელ დრომდის, მინამ მ. ღოღობერიძე დასტოვებდა ბანკის მმართველის ალაგს, ზოგიერთ გაზეთებს და მათ თანამშრომლებს სალაპარაკოდ მხოლოდ მისი პირადობა ჰქონდათ და მისი ხსენების მეტი, რასაკვირველია, ცუდის მხრით, არა ახსოვდათ-რა.— მათ სურვილს დანატვრას შეადგენდა მხოლოდ ღოღობერიძის ტახტიდგან ჩამოგდება და მის მაგიერ პატიოსანის და საქმის მცოდნეს (?!) ამორჩევა. ბრძანებდენ ხოლმე: თუ კი ღმერთმა გვაღირსა ღოღობერიძის გამოცვლა, აბა, მერმე ნახეთ, როგორ კარგად წავიდეს ჩვენი ბანკის საქმეო; ამასთანავე ერთ და უმთავრესს მიზეზად ბანკის ოპერაციის შეჩერებისა ზოგიერთებს მოჰყავდათ ისიც, რომ ვითომც ფინანსთ მინისტრს არ მოსწონებოდეს, ან და უკედ რომ ვსთქვათ, სძულებოდეს ნ. ღოღობერიძის სახე (ფიზიონომია (!!) და იმისთვის შეეჩერებინოს ბანკის მოქმედება.— Ოღონდ ნ. ღოღობერიძე მოვიშოროთ თავიდგან და მინისტრი მაშინადვე ბანკის მოქმედებას გახსნისო ლაპარაკობდენ ზოგიერთნი.

წარსულს კრებაზედ ნ. ღოღობერიძემ თითქოს შეასრულა ამათი სურვილი: თავის თანამდებობაზედ უარი ჰყო და მოახსენა საზოგადოებას: ამდენს ხანს მე მიმსახურნია და ეხლა ჩემ მაგიერ (ასე გამოდიოდა მისი სიტყვებიდგან) ამოირჩიეთ ჩემზედ უკეთესიო''. გამოვიდა ორი კანდიდატი: თავადნი დ. დადიანი და მ. შალვა, რომელთაგანაც პირველი იქმნა ამორჩეული ნ. ღოღობერიძის მაგიერ. ამით, ჩვენის აზრით, ღოღობერიძის წინააღმდეგების და ბანკის ვითომც კეთილის მსურველების ნატვრა შესრულდა და იმედიც უნდა გვქონოდა, რომ დღიდგან ბატ. დადიანის გაუმჯობესება-უმზრუნველობისა ჩვენის ბანკის მდგომარეობა საუკეთესოდ შეიცვლებოდა და ცხადად დავინახავდით, თუ რა მავნებელი ყოფილა ღოღობერიძე ჩვენის ბანკისათვის.

მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ამის შემდეგ არ გასულა ნახევარი წელიწადი და ეხლავე სანატრელად გაგვიხდა ღოღობერიძე და ეხლავე ვხედავთ ბანკში თვალ საჩინო უწესოებათა (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, პერტურბაციას.)

შეიძლება გამოჩნდეს ვინმე მკითხველთაგანი, რომელმაც ამ ჩემ სიტყვებს ურწმუნოს თვალით შეჰხედოს და მიპასუხოს კიდეც—ასე მოკლეს ხანში როგორ შეეძლო, ვინც უნდა ყოფილიყო, თავის ნიჭი გამოეჩინა და ბანკის მდგომარეობა გაეუმჯობესებიაო. მართალია, იმისი მეც თანახმა ვარ, რომ ასე მოკლეს ხანში ძნელი იყო ბანკის ყველა საქმეების თავის წრეში ჩაყენება, მაგრამ გაუმჯობესობამ თქვენი ჭირი წაიღოს, ნეტავი არ გაუარესებულიყო და. ამასთანავე ექვსი თვის განმავლობაში ადვილად შეიძლება შეემჩნეს კაცს, თუ კი მას ადმინისტრაციული ნიჭი მაინც აქვს.

სამწუხაროდ და საუბედუროდ ჩვენდა აქვე შემიძლია გაჩვენოთ ორი თვალსაჩინო მაგალითი, რომლის მზგავსი ღოღობერიძის დროს არ შეგვიმჩნევია და რომელთაც საჭიროა ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

პირველი: აგერ თითქმის ოთხი თვე გადის რაც ერთი დირექტორთაგანი არის წასული სამეგრელოში «ოტპუსკში». სწერენ სამსახურში გამოცხადდიო, მაგრამ პასუხსაც არ იძლევა და ჯამაგირს კი სრულად იღებს. რას ჰგავს ეს საქციელი სწორედ არ მესმის?! იმის გამო, რომ ამდენს ხანს ეს ბატონი დასეირნობს თავის სამშობლოში, აქ ბანკის საქმეები უნდა შეჩერდეს და თუ არ შეაჩერეს ხომ მისი კანდიდატი უნდა მოიწვიონ, რომელსაც ჯილდო უნდა მიეცეს ბანკში ყოველი ფეხის შემოდგმისათვის''.— ნუ თუ ეს ჩვენი ბანკის ზარალი არ არის? ნუ თუ ასე გულ-გრილად უნდა უყუროს ბანკის მმართველობამ ამ გვარ უწესოებას? ამასთანავე არ დაივიწყოთ, რომ წესდების ძალით დათხოვნა მხოლოდ ორი თვით შეიძლება და არა ოთხის და მეტის თვით.

და მეორე:—უფულობის გამო ამ უკანასკნელ დროში ბანკს ძლიერ ბევრი მამულები რჩება, მაგრამ, ვაი, ამისთანა დარჩენას. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ამ მამულების დარჩენით ბანკს ჯერ-ჯერობით დიდ-ძალი ზარალი აქვს არა თუ იმიტომ, რომ ამ მამულებს არ შეეძლოს ჯეროვანი სარგებლის შემოტანა და მით ნაწილნაწილ ბანკის ვალის გასტუმრება, არა,— იმიტომ რომ ჩვენი ბანკის მმართველობა ძლიერ გულ-გრილად უყუ-

---

მოთხრობებს, ლექსებს, რომელთ შინაარსი ამოღებულია მათის სამშობლოს ყოფა-ცხოვრებიდამ. ამ ახალგაზდათა წრეში დაიბადა, სხვათა შორის, ის აზრიც, რომ მიქცეულ ექმნას ყურადღება ენისა და ეროვნულის პოეზიის ისტორიულს განვითარებას; მან მოინდომა შესწავლა და შეგნება წარსულისა, რომელიც ცხოველს-მყოფელს დასაბამს აძლევს თანამედროვე ეროვნულს ლიტერატურას. აი, რისთვისა შრომობენ იგინი თავიანთის ლიტერატურის ისტორიის შედგენისათვის, თავიანთ პოეტების ნაწერების დაბეჭდვისათვის და ცდილობენ მიიზიდონ თავიანთ მუშაობაში უცხოელნი მსწავლულნი და მეცნიერნიც. აი, რისთვის შეიქმნა «ვეფხვის-ტყაოსანი» ამ რამდენიმე ხნის შემდეგ საგნად ეტიუდებისა, ლექციებისა, ცხოველის სურათებისა, გადაკეთებათა და თარგმანთა. ამავე გატაცებამ მოასურვებია ერთს ქართველს საკმაო ფულის შეწირვა რუსთაველის პოემის მდიდრულად დაბეჭდვისათვის, რომლისათვისაც უნდა დახატულ იქმნას სურათები გამოჩენილის რუსის მხატვარისაგან; ამავე გატაცებამ მოაკიდებინა ხელი ბ. მეუნარგიას პოემის თარგმნისათვის, რათა წარუდგინოს იგი ევროპიელს მკითხველს. იმის კალმიდამ პოემა რუსთაველისა პირველად გამოვა სრულიად სიტყვა-სიტყვითი გადათარგმნილი. თვით მთარგმნელი, როგორც ესა სჩანს პოემის წინასიტყვაობიდამ, არა ჰფარავს იმ სიძნელეს, რომელსაც უნდა მორევნოდა თავის სურვილის შესასრულებლად და პირ-და-პირ ამბობს, — რაც მე ვფიქრე, იმ საგანს და მის შესრულების შორის დიდი მანძილი არსებობსო. ეს თავ-დაბლობა მთარგმნელისა პატივსაცემია და ამტკიცებს, რა თაყვანის-ცემით, რა მოწიწებით ექცევა იგი იმ ნაწარმოებს, რომლის თარგმანი და ახსნა უკისრნია. ქართულის ენის უცოდინარობის გამო, ჩემთვის ძნელია აზრი შევადგინო თარგმანის სისწორეზე; მაგრამ არც ერთს წამსაც არ ვეჭობ, რომ ავტორი ტალანტისა და ნიჭის პატრონია, წინ და წინვე მჯერა მთარგმნელის აზრი და სიადვილით ვალვიარებ, რომ «ვეფხვის-ტყაოსნის» დედანსა და მის თარგმანს შორის დიდი ზღვარი უნდა იყოს. თვით უკეთესი თარგმანი ლექსისა ნაკერის წარმოადგენს მშვენიერად გარეცხილის საუკეთესო ქსოვილისას; აქაც იგივე ძაფი და ფერადებია ხმარებული (ე. ი. იგივე სიტყვები); მაგრამ იმის მაგიერ, რომ ამ ძაფთა და ფერადთაგან ყვავილები და მშვენიერად ნაქარგი სახეები შესდგეს, იგინი გვიხატავენ ჩვენ მხოლოდ ულამაზო განაპირა მოხაზულობათა (კონტურებს), — და ისიც მკრთალად. მუსიკა ლექსებისა, რომელიც ნანინასავით მოქმედობს მკითხველზე, სასიამოვნო წარმოდგენებით ართობს და რითმის შემწეობით მიაფრენს ალტაცების მწვერვალებზე, ეს მუსიკა სრულიად ჰქრება და თავის ალაგს უთმობს მარტივს, ხშირად ურთიერთის წინააღმდეგს სიტყვებს.

უკეთუ მართალია, რომ პოემა მომეტებულს თავის სიმშვენიერეს ჰკარგავს, როცა იგი ითარგმნება სხვა ენაზე, მაშ ცხადია, რა ძნელი უნდა იყოს თარგმნა იმ გვარის ნაწარმოებისა, რომელიც დაწერილია სრულიად სხვა დროსა და სხვა ხანში. მთარგმნელმა ამ შემთხვევაში უნდა უარ-ჰყოს ყველა ის იდეანი, რომელნიც დაიბადენ პოეტის შემდეგ გასულს საუკუნოებში, არ უნდა იხმაროს სიტყვები, გამომხატველნი ახალის დროის აზრებისა და უნდა ერიდოს ფრაზების იმ გვარს მიმოხვრას, რომელიც შეეფერება მხოლოდ ჩვეულებრივს ჩვენს საუბარს, რომელიც, თუ იგი მიეწერა ძველის დროის ავტორს, უსიამოვნო ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას აწარმოვებს კაცზე.

(შემდეგი იქნება)

რებს ამ საქმეს და სრულიადაც არ იწუხებს თავს იმაზედ, რომ გამოიგონოს რამე საშუალება ამ მამულების მოვლის შესახებ. ერთი მამული არ დარჩენია ჯერ-ჯერობით ბანკს იმისთანა, რომელსაც არ შეეძლოს ჯეროვანი სარგებლის შემოტანა, მაგრამ არ შემოაქვს იმიტომ, რომ ბანკის მმართველობა, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, უყურებს მათ სხვათა-შორის, (რუსები რომ იტყვიან: между прочимъ) ესე იგი სთვლის მას მესამე ხარისხეულ საგნად; მაშინ როდესაც ამას უნდა ჰქონდეს მიქცეული მკაცრი ყურადღება. რასაკვირველია, რომ ამ გვარი საქმის მსვლელობით ბანკის მდგომარეობა არასოდეს არ გაუმჯობესდება...

ამისათვის, ჩვენის აზრით, არ იქნება ცუდი, რომ ამ საქმეს მიექცეოდეს ჯეროვანი ყურადღება და ბანკის მმართველობა უფრო მკაცრად და სინიდისიერად მოეკიდებოდეს მას ხელს. თუ თვითონ არ შეუძლია რამე საშუალების გამოგონება—ზედამხედველი კომიტეტი დაიხმაროს, ან და არა-ჩვეულებრივი კრება მოახდინოს.

ეხლა ამით ვათავებ, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, შემიძლიან კიდეც დავასახელო, თუ როგორ უთავბოლოდ მართავს ბანკის მართველობა ბანკზე დარჩენილს მამულებს, შემიძლიან, აშკარად ავწერო ბანკის მმართველობის სისუსტე შესახებ ამ საქმისა.

გრიგრი.

ნოემბრის 27-ს.

ქ. ქუთაისი.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 29.

პეტერბურგი. გაზ: „მინუტას“ კვალად ნება მიეცა ცალკე ნომრების ყიდვისა.

მოსკოვი. სკოპინის მცხოვრებნი ჰმოწმობენ, რომ რიკოვს შეუზღუდველი ძალა ჰქონდა და ქალაქის თვით-მმართველობა-კი ულონო იყოო. რიკოვის ბრძანებით ირჩეოდენ წევრნი ამ მმართველობისაო; დაბეზღებას რიკოვი ძვირად უსვამდა თვის მოწინააღმდეგეთაო.

ვენა. ძლიერმა გრიგალმა დიდი ზარალი მოახდინა ვენასა და მისს მიდამოში. სამი კაცი დაასახიჩრა ამ გრიგალმა, ადგილიდამ დასძრა და სახლების კედლებს მიაჯახა. ერთი რკინის გზის მატარებელს მოსწყვიტა ოთხი ვაგონი და ლიანდაგიდამ გადაჰყარა. ამ შემთხვევის დროს დაკოდილ იქმნენ კონდუქტორი და სამი პასაჟირი.

# განცხადებანი

უმორჩილესის თხოვნით მივმართავ ბ.ბ. ქველ-მოქმედთ შეძლებისა დაგვარად აღმოუჩინონ შემწეობა „თელავის საქალაქო სასწავლებლის ღარიბ-მოწაფეთა დამხმარებელს საზოგადოებას.“ შემოწირული ფული და ნივთები ვითხოვ გაგზავნილ იქმნას ქ. თელავს, საზოგადოების სამმართველოში.

თავსმჯდომარე გ. ს. ალექსეევ-მესხიევი.

(3—1)

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემგან შედგენილის და ამოჭრილის ასოების გადახატვა და ხელ-მეორედ ამოჭრა აღიკრძალება. წინააღმდეგს შემთხვევაში კანონიერს დაკმაყოფილებას მოვითხოვ.

(3—1) გრიგოლ ტატიშვილი—ჭიგარო.

ამ თვის 18-დამ „წერა-კითხვის საზოგადოების“

## კანცელარია.

გადატანილ იქმნა ძველის სადგომიდამ კუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზედ ბიორგი ქართველიშვილის სახლებში.

(3—3)

## ქ. ფოთში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. უველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე საზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში 20$_{0}$/$^{0}$ წინ მიღებით ბეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას ფოთის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრაკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წვრილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კომისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ—თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კომისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისოდ; ჭირნახულებისთვის და სამალარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—5) ალექსი თუთაევი.

ახლად გახსნილი საწყობი

პურის სპირტის

და

დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამოკავლობითი საპატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის ფორაქოვისა და დავით ადამის ძის სარაჯოვისა ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ადრეოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კოფეინისა, ლაკისა, ლიკიორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა ისყიდება თვით დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭელია ერთ-ვედროიანია, $^{1}/_{2}$ ვედროიანი, $^{1}/_{10}$, $^{1}/_{16}$, $^{1}/_{20}$, და $^{1}/_{40}$-ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $^{1}/_{2}$, და $^{1}/_{4}$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს—გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—2)

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

*на 1885 годъ*

на ежедневную литературно-политическую газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

издаваемую въ Тифлисѣ

**(II годъ изданія).**

**Программа** газеты общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ, съ возможно широкимъ развитіемъ мѣстнаго отдѣла.

**Подписная цѣна** съ доставкою и пересылкою въ Россіи: на годъ 10 руб., на полгода 6 руб., на 3 мѣсяца 3 руб. 50 коп., на одинъ мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Подписка принимается: въ Тифлисѣ въ конторѣ редакціи при Газетномъ Агентствѣ В. Шавердова, въ С.-Петербургѣ въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при газетномъ Агентствѣ В. Шавердова.

5—2. Редакторъ-издатель **А. В. Степановъ.**

საკლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლებს წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25$^{0}$/$_{0}$ იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოხი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—23)

Доз. ценз. Тифлисъ, 29 Ноября 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.